დანართი 1

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ - გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულში - ძველი ქართული ხელოვნების განყოფილებაში მეცნიერი თანამშრომლის ასარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. საკონკურსო პირობები:

პოზიციის დასახელება: ძველი ქართული ხელოვნების განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი

ადგილების რაოდენობა: 1

თანამდებობრივი სარგო: 370.00 ლარი

2. შესასრულებელი სამუშაოს მოკლე აღწერილობა:

შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების კვლევა; ყოველწლიური სამეცნიერო თემის მომზადება; კვლევით ექსპედიციებში მონაწილეობა; ადგილობრივ ან/და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სამეცნიერო სტატიების მომზადება.

3. კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს მეცნიერ-თანამშრომლისათვის დადგენილ ძირითად მოთხოვნებს, რაც მდგომარეობს შემდეგში:

ა) მეცნიერ–თანამშრომლის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) უნდა ჰქონდეს გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად გადაცემული სამეცნიერო ნაშრომი/ნაშრომები;

გ) უნდა ჰქონდეს მიღებული მონაწილეობა სამეცნიერო ღონისძიებებში (კონფერენცია, სემინარი, უორკშოპი, ზაფხულის სკოლა);

დ) მიმდინარე და მომავალი სამეცნიერო კვლევის ძირითადი სფერო უნდა იყოს შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება;

ე) უნდა ჰქონდეს საერთაშორისო სასწავლო ან/და სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება;

დამატებითი მოთხოვნები:

სასურველია კანდიდატს გავლილი ჰქონდეს სტაჟირება გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ კვლევით ცენტრში;

სასურველია კანდიდატს ჰქონდეს შუა საუკუნეების ჭედური ხელოვნების კვლევის გამოცდილება.

4. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით წარუდგინოს საკონკურსო კომისიას შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება ცენტრის სამეცნიერო საბჭოს სახელზე დადგენილი ფორმის მიხედვით (განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული პირის ვინაობა, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი) (დანართი N2);

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (პასპორტი, პირადობის მოწმობა);

გ) ავტობიოგრაფია (CV), სამეცნიერო საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მითითებით;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასლი.

5. კონკურსი გამოცხადების თარიღი 2026 წლის 14 მაისი. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს 2026 წლის 18 მაისიდან 2026 წლის 25 მაისის ჩათვლით ჩათვლით 11:00 საათიდან 17:00 საათამდე.

საკონკურსო განაცხადები მიიღება როგორც მყარი (მის. თბილისი, ათონელის N 9), ასევე ელექტრონული ფორმით ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ მისამართზე: g_ch_centre@yahoo.com

დოკუმენტების არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში კანდიდატი ვერ გადავა კონკურსის მეორე ეტაპზე.

კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს ღია კენჭისყრის საფუძველზე, აპლიკაციების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვისა

კონკურსის ეტაპები:
განცხადების გადარჩევა;
გასაუბრება.

საკონტაქტო პირი: ნანა ღარიბაშვილი 299 05 88; 599 23 54 53